სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

04/12/2024

MES 5 24 0001555440

ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 2 თებერვლის N105472 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 13 ნოემბრის N 1462659 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2024 წლის 14 ნოემბრის N 1464712 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 დეკემბრის N 01-05-04/184 დადგენილების შესაბამისად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის მიზნით

ვბრძანებ :

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 13 ნოემბრის N 1462659 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2024 წლის პირველი ოქტომბრიდან 2025 წლის პირველ იანვრამდე 3 (სამი) კალენდარული თვის განმავლობაში გაიცეს სახელმწიფო სტიპენდია თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით, საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ და ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებზე, რომლებსაც სწავლების წინა სემესტრში ათვისებული აქვთ არანაკლებ 25 კრედიტისა;

2. სტიპენდიანტთა რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით განისაზღვროს სტუ-ის ბაკალავრიატის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად:

- სამშენებლო ფაკულტეტი – 81 სტუდენტი;
- ენერგეტიკის ფაკულტეტი – 84 სტუდენტი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 56 სტუდენტი;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 22 სტუდენტი;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი –52 სტუდენტი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 83 სტუდენტი;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 109 სტუდენტი;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 195 სტუდენტი;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 16 სტუდენტი;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 125 სტუდენტი;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 91 სტუდენტი;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი - 61 სტუდენტი;
- მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი - 24 სტუდენტი.

3. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს ფაკულტეტებზე 2023–2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 13 ნოემბრის N 1462659 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 13 ნოემბრის N 1462659 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს „სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე“ ბრძანების პროექტის მომზადება;

6. ბრძანების კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ.ბუაჩიძეს;

7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყონ ფაკულტეტების სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებებმა;

8. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ